სს „საქართველოს რკინიგზის“
დირექტორთა საბჭოს
დადგენილება

№11/7 2023 წლის 24 თებერვალი ქ. თბილისი

„სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურისა და მიწის ნაკვეთების მესამე პირების საინჟინრო კომუნიკაციებით გადაკვეთის შესახებ“ ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის და ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე.

1. ცნობად იქნას მიღებული, სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ფილიალის“ 2023 წლის 24 თებერვლის №7811 მოხსენებითი ბარათი.

2. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის №12/1 დადგენილებით დამტკიცებულ „სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურისა და მიწის ნაკვეთების მესამე პირების საინჟინრო კომუნიკაციებით გადაკვეთის შესახებ“ ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანა და ახალი რედაქციით დამტკიცება, თანდართული ფორმით (დანართი №1).

3. წინამდებარე დადგენილება შესათანხმებლად გადაეგზავნოს სს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს და ეთხოვოს ერთჯერადი თანხმობის გაცემა, რომლის ფარგლებშიც „ინსტრუქციით“ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები უფლებამოსილნი იქნებიან მიიღონ გადაწყვეტილებები წინამდებარე დადგენილებითა და თანდართული „ინსტრუქციით“ გათვალისწინებული წესით და იმოქმედონ კომპანიის საკუთრებაში არსებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის საინჟინრო კომუნიკაციებით გადაკვეთასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირების მიზნით.

4. სს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის მიღების შემთხვევაში დაევალოს „ინსტრუქციით“ გათვალისწინებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულს იმოქმედოს თნდართული ინსტრუქციის შესაბამისად.

5. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს სს „საქართველოს რკინიგზის“ კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსმა (ნ. ჯორბენაძე).

დირექტორთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ.ფერაძე**